მეგობრობისა და ხელოვნების ზეიმი

ჩვენი მხურვალე სალამი, ძვირფასო მოსკოველო მეგობრებო!

დღეს თბილისში იწყება მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი | № 116 (13808) | პარასკევი, 19 მაისი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.



მუდამ მხარდამხარ

საბჭოთა ხალხის დიადი კულტურა ვითარდება ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ძმური თანამეგობრობის საფუძველზე. ეს კულტურა ჩვენი ქვეყნის ხალხთა საერთო კუთვნილებაა, ოქტომბრის დიადი მონაპოვარია. საბჭოთა კულტურა ერთიანია თავისი კომუნისტური მიმართულებით, თავისი ესთეტიკური იდეალებით, თავისი სასიცოცხლო შინაარსით, რომლებიც ახალი ცხოვრების მშენებელთა ფიქრებსა და გრძნობებს გამოხატავს.

„საბჭოთა ერების მხურვალე დაინტერესება ერთმანეთის წარმატებით, — განაცხადა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საქართველოს სს რესპუბლიკისათვის მეორე ლენინის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე თბილისში, — იმ ფაქტის კანონზომიერი გამოხატულებაა, რომ ყველას აქვს ერთი საერთო საქმე, საერთო მისწრაფებანი და იმედები, მიზნები და სურვილები. სწორედ ეს არის სათავე საბჭოთა საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მამოძრავებელი ძალისა, — სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა".

ამიტომ არის, რომ ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ხალხის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა თანამეგობრობა უაღრესად ნაყოფიერ გავლენას ახდენს თავისთავადი ეროვნული კულტურების ზრდაზე, რომლებიც ერთგულნი არიან სოციალისტური ინტერნაციონალიზმის მაღალი იდეებისა, ჰუმანიზმის კეთილშობილური პრინციპებისა.

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ეს თანამეგობრობა ახალი შემოქმედებითი გამოცდილებით გამდიდრდა დიდი თარიღის — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მზადების დღეებში.

კიდევ ერთი შესანიშნავი თავი ჩაიწერა ხალხთა ამ ლენინური მეგობრობის ბრწყინვალე წიგნში — დღეს თბილისში იწყება მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები. თბილისს მაღალმხატვრული გემოვნების მქონე საზოგადოება შეხვდება მოსკოველ მწერლებს, მსახიობებს, მუსიკოსებს, მხატვრებს და ხელოვნების სხვა მუშაკებს, რომლებიც გვიჩვენებენ რუსული ხელოვნების სიმდიდრეს, სილამაზესა და მრავალფეროვნებას, რუსული ლიტერატურის სიბრძნესა და მშვენიერებას.

მაგრამ ჩვენი საყვარელი დედაქალაქის მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების ნიჭიერმა წარმომადგენლებმა საქართველოში ჩამოიტანეს არა მარტო საუკეთესო წიგნი და სურათები, სპექტაკლები და მუსიკალური ნაწარმოებები, საცეკვაო და საესტრადო შემოქმედება, არამედ სხვა კიდევ უფრო დიდი და მნიშვნელოვანი, ტრადიციული და საამაყო — მათ თბილისში ჩამოიტანეს ქართველი ხალხისადმი, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისადმი რუსი ხალხის მეგობრობისა და სიყვარულის წრფელი გრძნობები. ძმობის, მეგობრობისა და სიყვარულის ნათელი გრძნობებით დახვდნენ მათ მადლიერი მასპინძლებიც. სწორედ ამაშია ასეთი მეგობრული შეხვედრების განსაკუთრებული მნიშვნელობა.

მოსკოველ და თბილისელ მეგობართა ძმური შეხვედრები საქართველოს დედაქალაქში მოწყობილი ღონისძიებებით როდი ამოიწურება. მალე კვლავ განმეორდება იგი. მოსკოვში, კრემლის თეატრში 7 ივნისს გაიხსნება საქართველოს დღეები მოსკოვში.

ეროვნულ კულტურათა ასეთი ურთიერთ გაზიარება, უეჭველია, ხელს შეუწყობს ხალხთა შორის მეგობრობისა და ძმობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

ტაშის გრიალს, რომელსაც დღეს თბილისის საუკეთესო თეატრების დარბაზებში გაიგონებთ და რომელსაც რადიო და ტელევიზია მთელ ჩვენს ქვეყანას მოაფენენ, სიამოვნებით, მართალი გულის ძგერით მოისმენს საქართველოს ყველა მშრომელი. ისინი მთელი არსებით გაიზიარებენ ამ დიადი შემოქმედებითი მეგობრობის სიხარულს.

მხურვალე სალამი მოსკოველ მეგობრებს — ჩვენი სამშობლოს ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს.

დაე კიდევ უფრო აყვავდეს და გაიფურჩქნოს საბჭოთა სოციალისტური კულტურა — დიადი ოქტომბრის ბრწყინვალე მონაპოვარი.

დახედეთ ამ სურათს და გონებას გაანთებს სიკეთის სიტყვები: მოსკოვი, დედაქალაქი, ხალხთა მეგობრობა, მშვიდობა, კაცთმოყვარეობა, დღეს დედამოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების წარმოგზავნილნი თბილისის სასურველი, ძვირფასი სტუმრები არიან.

გულითადი სტუმარ-მასპინძლობა

თბილისი მოგესალმება თქვენ, ძვირფასო მოსკოველებო!

ნახევარ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც სტუმართმოყვარე ქართველი ხალხი თავის მიწა-წყალზე უმასპინძლდებოდა ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის ბევრი ქვეყნის წარმომადგენლებს შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის დღესასწაულის დღეებში. მას შემდეგ თბილისის აეროპორტს არ ახსოვს ასეთი ხალხმრავლობა, როგორიც იყო აქ 18 მაისს, როცა თბილისს მოსკოვის დღეებში მონაწილეობის მისაღებად ეწვია ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის მშრომელთა დელეგაცია.

უჩვეულოდ ღრუბლიანი იყო თბილისი ამ დღეს, დილადანვე სცრიდა წვიმა, მაგრამ მეგობართა გულთბილობამ, ძმურმა ღიმილმა ყველას გადაავიწყა უამინდობა. თბილისის პიონერებმა და მოსწავლეებმა წითელი ვარდები და მიხაკები, სიმბალუკი და იხარული მოიტანეს თან. ისინიც ძვირფასი სტუმრების შესახვედრად მოვიდნენ.

აეროპორტში შეიკრიბნენ თბილისის მშრომელთა წარმომადგენლები, შემოქმედებითი ინტელიგენცია, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები. სტუმრების შესახვედრად მოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. ბ. სტურუა, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. ი. ლოლაშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვ. სირაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. ბუხრაშვილი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. ვ. თაქთაქიშვილი.

19 საათია. სპეციალური რეისით მოსკოვიდან ჩამოვიდა დელეგაცია პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნის ბ. ბ. შაპოშნიკოვის მეთაურობით. დელეგაციაში შედიან მწერალი ბ. ს. ბერიოზკო, № 1 სახელმწიფო საკისართა ქარხნის მუშა ა. ვ. ვიქტოროვი, სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის მდივანი ა. ვ. კარაბანოვი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის კულტურის განყოფილების ინსტრუქტორი ვ. ი. კრასნოშჩეკოვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. ი. ჟაროვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის კულტურის სამმართველოს უფროსი ბ. ე. როდიონოვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვ. სვეშნიკოვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ტ. სიზოვი, ლენინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი რ. ნ. სიმონოვი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე, ე. ა. სოლოვიოვა, ლენინური პრემიის ლაურეატი ბ. ვ. სვირიდოვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ი. სტეპანოვა, რუსეთის სფსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. ხ. სტრიბანოვი, კომპოზიტორი ს. ს. ტულიკოვი, სკკპ კრასნაია პრესნის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ვ. ფედოროვი, რუსეთის სფსრ მხატვართა კავშირის მოსკოვის განყოფილების თავმჯდომარე დ. ა. შმარინოვი.

ამავე თვითმფრინავით თბილისში ჩამოვიდნენ მოსკოველ მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, კინემატოგრაფისტთა და არქიტექტორთა დელეგაციები.

თბილისის მშრომელები გულთბილად შეხვდნენ მოსკოვის დელეგაციას, რამაც ერთხელ კიდევ დაადასტურა საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა, რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობა, რომელსაც დიდი ხნის ტრადიციები აქვს.

თბილისელები მოუთმენლად ელიან თქვენთან შეხვედრებს, ძვირფასო მოსკოველებო! (საქდესი).

ხამს სტუმარი სასურველი...

ირაკლი აბაშიძე,
კოლეტ-აკადემიკოსი.

კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება საქართველოს დედაქალაქში! — უწინარეს ყოვლისა ასე, ტრადიციული სიტყვებით მინდა მივესალმო ჩვენს ძვირფას მეგობრებს — ქალაქ მოსკოვის ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურული საზოგადოებრიობის წარმოგზავნილთ.

„ხამს სტუმარი სასურველი, მასპინძელი მხიარული" — ასე გვიანდერძა ერის სულმნათმა შოთა რუსთაველმა, და ეს სიტყვები უცილობელი კანონია ქართველი ხალხის სტუმართმასპინძლობისა.

ჭეშმარიტად სასურველნი არიან ჩვენი ამჟამინდელი მოსკოველი სტუმრები, სწორედ ამიტომაც ჩვენი ხალხის გულმხიარული მასპინძლობა უფრო უშუალო და გულითადია.

*დღეს ჩვენთან არიან მოსკოვის პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების და კულტურის გამოჩენილი წარმომადგენლები, ლიტერატურის, მუსიკის, თეატრის, კინოს, მხატვრობის სახელმოხვეჭილი მოღვაწეები; ეს კი იმას ნიშნავს, რომ თბილისი მთელი რუსეთის კულტურული ინტელიგენციის ნაღების მასპინძელია, რადგან მოსკოვი — საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქი არის გული დედა-რუსეთისა.

სამართლე გითხრათ, სინანულის გრძნობა მიპყრობს, რადგან ამ დღეებში, როცა თბილისში მთელი ძალით აყეერდება ხალხთა მეგობრობის ძალოვანი სიტყვა, როცა ჩვენი დედაქალაქის თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში ადგილი დაეთმობა მოსკოველთა თეატრს, მუსიკას, ესტრადას, ცნობილ ორკესტრებსა და ანსამბლებს, ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი თბილისში არ იქნება. მოგეხსენებათ, 22 მაისს მოსკოვში მუშაობას იწყებს მწერალთა მეორე ყრილობა და ჩვენ მისი დელეგატები გახლავართ. მაგრამ სადაც უნდა ვიყოთ, ჩვენი ფიქრი და ოცნება მუდამ თავს ევლება საბჭოთა ხალხების დიადი მეგობრობის გრძნობას და თბილისში აეღერებული მეგობრობის ხმები ყველგან დაატკბობენ, როგორც იტყოდა ძველი ქართველი, ყურთა ჩვენთა სახინოსთა.

ბედნიერების საწინდარი

ალექსანდრე სვეშნიკოვი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო
პრემიის ლაურეატი.

კარგად მახსოვს საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დღეები მოსკოვში. ჯერ არ წაშლილა ჩემს მეხსიერებაში იმ დღეთა დიდი შთაბეჭდილება, და აი ძმობისა და მეგობრობის კიდევ ერთი მკაფიო მაგალითი — მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები თბილისში.

ჩემი აზრით, ეს მოვლენა სცილდება წმინდა ხელოვნებისა და ლიტერატურის სფეროს და ორი ერის — რუსი და ქართველი ერების ურღვევ ძმობა-მეგობრობაზე მიგვითითებს.

ვაშა ამ ძმობას, სიკეთისა და ღიმილის მომტანს, საუკუნეთა მანძილზე ყველა თაობათა ხოროცშესხმულ ოცნებას, ნანატრის აღდგენას, ბედნიერების საწინდარს.

საქართველოს მიწას ბევრი რამ უნახავს, ამ ულამაზეს მთებსა და ველებზე წინაპრების ხელით ნაგებ ციხე-სამაგრეებსა და კეთილგალავნებს. მტრის მრავალი ისარი და მახვილი მოხვედრია. დღეს მუზეუმად ქცეული ეს ნაგებობანი ხელგაშლილი გეკეგებენან და სამფეროდ მოსულ სტუმრებს ქართველთა ლაღი ღიმილით გვიმასპინძლდებიან.

მრგალაქალებით ძმებსა და მეგობრებს, მოგეალქვს ალალი სიტყვა და საამო სიმღერა, ისე როგორც დღესასწაულს სჩვევია, როგორც ქორწილსა და ძეობას უყვარს.

ქართული ხალხური სიმღერა თავისი მრავალხმიანობით ანცცოფრებს ყველას. ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ დღესაც აუხსნელი რჩება ამ უთოფლესი პოლიფონიის საკითხი — თუ როგორ ახერხებს ერი ასე მასობრივად მრავალხმიანობის ათვისებას. განა რა სტუმრები ვიქნებოდით, რომ რეპერტუარში ქართული სიმღერა არ შეგეტანა?! როგორ? ამას კონცერტზე შეიტყობთ.

ცოტა ხანიც გაიელის, და მოსკოვში ასეეე ხელგაშლილად, გულგაშლილად მოგეგებებით, თქვენი. სტუმრობა, ისევე კარგი და საამო, როგორც ლამაზი ჩვენი სამშობლო, სადაც სიხარული და მეგობრობა დაქვიდრებულა, რომ ყველაფერს გასწვდეს და ჩვენს შაგამოქალობას. ჯა-სრბეელი ძმობის შექმნა გაიცისკროვნოს.

საკდესის ცნობა

მიფრინავს „კოსმოსი-159"

1967 წლის 17 მაისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-159". თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა 1962 წლის 16 მარტს გამოაცხადა.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია: — მიმოქცევის საწყისი პერიოდი 19 საათი და 33 წუთი; მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 60.600 კილომეტრი; მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 380 კილომეტრი; ორბიტის დახრილობა — 51 გრადუსი და 50 მინუტი.

სამეცნიერო აპარატურის გარდა, თანამგზავრზე არის: რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის: რადიოტელემეტრიული სისტემა ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის მონაცემების დედამიწაზე გადმოსაცემად.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. სპეციალური ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

მიფრინავს „კოსმოსი-160"

1967 წლის 17 მაისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-160". თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა — განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა 1962 წლის 16 მარტს გამოაცხადა.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია: მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 205 კილომეტრი; მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 142 კილომეტრი; ორბიტის დახრილობა — 49,6 გრადუსი.

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

სოხუმი, (სუკ. კორ.). 18 მაისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნისა და მიუროს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლა **დ. ვ. გოგოხია** მისი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეჭდეთი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის გამო.

პლენუმმა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად ამოიბჭოს **ა. ა. ძაძუა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების, გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის გამო **მ. გ. ჩიქოვანი** პლენუმმა გათავისუფლა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მიუროს წევრის მოვალეობისაგან.

პლენუმმა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მიუროს შემადგენლობაში წევრად შეიყვანა აფხაზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. გ. გილაშვილი.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **ა. ა. როდონოვმა.**

ავტომატური ხაზი

საქართველოს ავტომობილმშენებლებს გაეგზავნა ორიგინალური ავტომატური ხაზი, რომელიც შედგება სამი უწყვეტლარული ჩარხისა და რამდენიმე დამხმარე მექანიზმისაგან. ავტომატური ხაზი შეიქმნა მოსკოველ სერგო ორჯონიკიძის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში. ეს ავტომატი სპეციალურებული უბანი გათვალისწინებულია სტანდარტი ავტომობილების უკანა ხიდების ლილვების სახარატო დამუშავებისათვის.

ხაზი საათში ორმოცდაათ დეტალს უშვებს. ეს ხაზი ცვლის ხუთი სახარატო და ერთი საფრეზ-საცენტრავი ჩარხის შრომას. ამცირებს ათი ხარატის შრომას. ხაზი იმუშავებს ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში. (საკდესის კორ.).

მოსკოვი.

ხუთასზე: მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეთა ერთი ჯგუფი თბილისის აეროპორტში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

გულ მივცეთ გულისათვის,

მარად ცოცხალი სტრიქონები

კავკასიას თითქოს ბედად ხვდა გამხდარიყო ჩვენი პოეტური ტალანტების აკვნად, მათი მუზის შთამაგონებლად და გამომგზრძმედად, მათ პოეტურ სამშობლოდ.

ბესარიონ ბელინსკი.

პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი, და სხვანი ამგვარნი მოღვაწენი რუსეთის დიდებად, სახელად ცნობილ არიან უკეთესთა რუსთაგან. მათის ყველობით და მეოხებით ევროპამ დღეს სხვა თვალით შემოხედა რუსეთის სულიერს ძალ-ღონეს, რომლის გამომეტყველნიც იყვნენ ხსენებულნი დიდებუნებითნი კაცნი რუსეთისანი. ამისთანა კაცნი მით არიან სახელოვანნი, რომ თუმც სიცხლით და ხორცით ერთს რომელსამე გვარტომობას ეკუთვნიან, მაგრამ თავისის ღვაწლით ამასთანავე გვაჩვენებენ ხოლმე, რით არის მათი გვარტომი თანაამოზიარე მთელის კაცობრიობისა და რაგვარი ნაკადული შეაქვს იმ დიდ ზღვაში, რომელსაც კაცობრიობას ეძახიან, რა განძსა და საუნჯეს სდებს იმ მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძარში, რომელიც ყველას ეკუთვნის და რომლის კარი მუდამ ღიაა ყველასათვის ერთნაირად და თანასწორად, მიუხედავად რჯულისა, გვარტომობისა და დიდ-პატარობისა.

ილია ჭავჭავაძე.

ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲓᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

• ᲕᲐᲡᲘᲚ ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ •

გულ�აღი მიგვიღო ვახტანგოვის თეატრმა მოსკოვში. ის დღეები ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადას ეკუთვნოდა. მოსკოველები უდიდესი ინტერესით ეცნობოდნენ ქართული კულტურის მიღწევებს. რუსთაველის თეატრი ვახტანგოვის თეატრის სცენაზე უჩვენებდა თავის სპექტაკლებს. ხალხმრავალ აუდიტორიაში მაინც გამოირჩეოდნენ ვახტანგოველები. თავს დაგტრიალებდნენ, გვამხნევებდნენ, გვეფერებოდნენ და ჩვენთან ერთად ზეიმობდნენ სიხარულს.

მას შემდეგ ორიოდე წელი გავიდა, და ვახტანგოვის თეატრი ისევ ალერსიანად შეხვდა რუსთაველის თეატრს, მათ ერთად გაიზიარეს სიხარული და განსაკუთრებით ა. ბორავეს ოტელოსთან გამოსათხოვარი დღე. ამ დღეს უკანასკნელად ითამაშა ხორავამ ოტელო. ეს იყო ამაღელვებელი წუთები. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მსახიობთა ფოიეში ტეკა ლაღა იყო.

ვახტანგოვის თეატრის მთელმა კოლექტივმა მოიყარა თავი. ისინი აღფრთოვანებული ულოცავდნენ მსახიობს გამარჯვებას და გულისტკივილით ეთხოვებოდნენ „ქართველ ოტელოს“.

იმჟამინდელი მასპინძლები ახლა რუსთაველის თეატრის სტუმრები არიან. მათ აქ ჩამოიტანეს საკმაოდ გახმაურებული სპექტაკლი ლ. ზორინის **„ვარშავის მელოდიები“**.

ქართულმა აუდიტორიამ კარგად იცის ვახტანგოვის თეატრის შემოქმედება და სიხარულით ხვდება მის ჩამოსვლას თბილისში.

მოსკოვში ცოტა როდია კარგი თეატრი, მაგრამ ვახტანგოველები მაინც გამოირჩევიან. ეს არის ვიტალური, მებრძოლი, პოეტური განცდის თეატრი. მას ვახტანგოვმა მისცა დასაბამი. იმჟამინდელ თეატრს კი არ დაგიწყებია თავისი მასწავლებლის სიტყვები: „უნდა მოკვდეს ყოფითი თეატრი!“ „უნდა მოკვდეს ნატურალიზმი“.

ვახტანგოვი სწორედ ნატურალიზმის, პასიური მეკრეტელობის წინააღმდეგ ამხედრდა თავის სიკეთეებშივე. მაშინ იგი სამხატვრო თეატრის სტუდიას ხელმძღვანელობდა. მისმა პირველმა დადგმებმა („მშვიდობის ზეიმი“, „წარღვნა“) იმთავითვე გამოიწვია აზრთა სხვაობა. ყველამ იგრძნო, რომ რაღაც ახალმა სიომ დაკქრილა, ახალ თეატრალურ სამყაროს მიჯნასთან დადგა ხელოვანი. იგი თითქოსდა მოეულოდნელად შეუპირისპირდა ფსიქოლოგიური რეალიზმის „დანაშრეკს“ და ეცადა სამშობლოს წარმატებებს „ხელოვანს, — ამბობდა იგი, — სიხარულით უნდა ეესებოდეს გული თავისი ხალხის გამარჯვებების გამო“.

სპექტაკლებმა „ერიკ XIV“, „წმინდა „ანტონიოს სასწაულმა“ და განსაკუთრებით „პრინცესა ტურანდოტმა“ განსაზღვრეს ვახტანგოვის შემოქმედებითი პრინციპები.

ვახტანგოვი ოცნებობდა ბაირონის „კაინისა“ და „ბიბლიის“ დადგმაზე, ოცნებობდა ფართო ექსპერიმენტულ ძიებებზე.

ამ წლებში თეატრის რეჟისორულ აზროვნებას სათავეში ედგნენ ა. პოპოვი, ბ. ზახავა, და სხვები. დიდია რ. სიმონოვის დამსახურება თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში. მისმა სპექტაკლმა „თოფიანი კაცი“ ფართოდ გაიხმაურა. ვ. ი. ლენინის როლი შეასრულა შჩუკინმა.

ვახტანგოვის თეატრის შემოქმედება თითქმის წარმოუდგენელია, თუ მ. გორკის პიესებიც არ აღვნიშნეთ. 1932 წელს დაიდგა „ეგორ ბულიჩოვი“ შჩუკინის შესრულებით. ბულიჩოვის როლი ითამაშა ლუკიანოვმაც.

საკმარისია თეატრის რეპერტუარისათვის თვალის ერთბაშად გადავლებაც, რომ ნათელი გახდეს, თუ რა დიდი მის შემოქმედებაში თანამედროვეობის თემა. საქმე მარტო პიესების რიცხობრივ თანაფარდობას როდი ეხება. აქ მეღვანდება თეატრის იდეურმხატვრული პოზიცია, მისი მოქალაქეობრივი სახე.

როცა თეატრმა ა. არბუზოვის „ირკუტსკის ისტორია“ დადგა, ამან ცნოველი კამათი გამოიწვია. მაგრამ ერთი რამ მაინც უდავო იყო. თეატრმა სპექტაკლი გაიაზრა ფართო რომანტიკულ პლანში, გმირთა სულიერი განცდა გამოსახა ჩვენი ცხოვრების გრანდიოზული მასშტაბების ფონზე. პიესა ასცდა მოკმედ გმირთა ვნებებისა და მისწრაფებების მელოდრამატულ კარდაბშულობას. წარმოდგენაში სერგეის როლი შეასრულა მ. ულიანოვმა, ხოლო ვალიასი ი. ბორისოვამ. ულიანოვის სერგეი იყო ძლიერი, ვაჟკაცური, მაგრამ სადა და თავისი იდეალების ერთგული ადამიანი. ძველმოდური რიტორიკისაგან თავისუფალი, მთლიანი პიროვნება გვიჩვენა ბორისოვამ.

და განა მარტო ამ მსახიობთა შემოქმედება ამშვენებს თეატრის ისტორიას? განა შეიძლება საგაზეთო წერილში თუნდაც გაკვრით აღინუსხოს ის მძლავრი შემოქმედება, რომელსაც აგერ ნახევარი საუკუნე ეწევა ვახტანგოვის თეატრი?

ვახტანგოვის თეატრის ნიჭიერი კოლექტივის ჩამოსვლა თბილისში თუნდაც ერთი სპექტაკლით დიდად სასიხარულო ფაქტია ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში.

ᲓᲐᲔᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ძალიან სასიხარულოა, რომ საშუალება მომეცა ჩამოვსულიყავი მშვენიერ თბილისში, სადაც უკვე ათი წელიწადია არ ვყოფილვარ. განსაკუთრებით სასიხარულოა ეს იმიტომ, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად გეწვიეთ, რომლის ხელმძღვანელი რსფსრ სახალხო არტისტი ე. სვეტლანოვი ავადმყოფობის გამო, სამწუხაროდ, თვითონ ვერ ჩამოვიდა და მისი მოვალეობის შესრულება მე დამაკისრეს.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი დიდი ტრადიციებისა და მაღალი ხელოვნების კოლექტივია, რომელსაც კარგად იცობენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის სახღვრებს გარეთაც. ორკესტრმა ამ უკანასკნელ წლებში წარმატებით იმოგზაურა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და სხვ.

პროგრამა, რომლითაც თბილისელთა წინაშე წარსდგებით, მრავალფეროვანი იქნება და საშუალებას მისცემს მაყურებელს გარკვეული აზრი შეიმეშაოს. თბილისელები მოისმენენ სვირიდოვის პროკოფიევის, შოსტაკოვიჩის, სკრიაბინის, სტრავინსკის მუსიკალურ ნაწარმოებებს, გაეცნობიან ახალგაზრდა დირიჟორს, დირიჟორთა II საკავშირო კონკურსის ლაურეატს მ. შოსტაკოვიჩს, ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატებს ვ. ტრეტიაკოვს და ა. სლობოდიანიკს, რსფსრ სახალხო არტისტს ა. ვედერნიკოვს, ნემიროვიჩ-დანჩენკოს და სტანისლავსკის სახელობის მუსიკალური თეატრის მსახიობს, რსფსრ დამსახურებულ არტისტს ნ. ისაკოვს და სხვ.

ჩვენ კარგად ვიცნობთ და ვაფასებთ ქართველ კომპოზიტორებსა და მათს ნაწარმოებებს. ასეთი კონტაქტები, როგორიც არის მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები თბილისში, კიდევ უფრო შეიწყობს ხელს ჩვენს დაახლოებას, დაკავშირებას. რასაკვირველია, ჩვენი მთავარი მიზანია ღირსეულად წარვსდგეთ თბილისელთა წინაშე.

მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეთა ერთი ჯგუფი, მარცხნიდან — კ. კონდრაშინი, მ. შოსტაკოვიჩი, ა. ანდრიეევსკი და მ. ბელოცერკოვსკი.

რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი კ. მოლჩანოვი (მარცხნივ), სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. სვეშნიკოვი, კომპოზიტორები ა. ფლიარკოვსკი და სსრ კავშირის სახალხო არტისტი ალ. მაჭავარიანი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური რუსული გუნდის წევრთა ერთი ჯგუფი თბილისის აეროპორტში.

კირილე კონდრაშინი,

დირიჟორი, რსფსრ სახალხო არტისტი.

◆

ლებას მისცემს მაყურებელს გარკვეული აზრი შეიმეშაოს. თბილისელები მოისმენენ სვირიდოვის პროკოფიევის, შოსტაკოვიჩის, სკრიაბინის, სტრავინსკის მუსიკალურ ნაწარმოებებს, გაეცნობიან ახალგაზრდა დირიჟორს, დირიჟორთა II საკავშირო კონკურსის ლაურეატს მ. შოსტაკოვიჩს, ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატებს ვ. ტრეტიაკოვს და ა. სლობოდიანიკს, რსფსრ სახალხო არტისტს ა. ვედერნიკოვს, ნემიროვიჩ-დანჩენკოს და სტანისლავსკის სახელობის მუსიკალური თეატრის მსახიობს, რსფსრ დამსახურებულ არტისტს ნ. ისაკოვს და სხვ.

ჩვენ კარგად ვიცნობთ და ვაფასებთ ქართველ კომპოზიტორებსა და მათს ნაწარმოებებს. ასეთი კონტაქტები, როგორიც არის მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები თბილისში, კიდევ უფრო შეიწყობს ხელს ჩვენს დაახლოებას, დაკავშირებას. რასაკვირველია, ჩვენი მთავარი მიზანია ღირსეულად წარვსდგეთ თბილისელთა წინაშე.

გულითადი სტუმარ-მასპინძლობა

ᲮᲐᲛᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔ ᲛᲝᲧᲕᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ოთარ თაქთაქიშვილი,

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი

◆

საბჭოთა კავშირის ხალხთა, კერძოდ რუსი და ქართველი ხალხების საუკუნეებში გამოწრთობილ მეგობრობაზე ბევრი დაწერილა და თქმულა. კულტურის ისტორიკოსებმა ამ საკითხს მიუძღვნეს ბევრი წიგნი და მონოგრაფიული გამოკვლევა, სტატია და წერილი, რომლებშიც ნათლად და ფართოდ არის გაშუქებული ის კეთილსაყოფიერი შედეგები, რაც ხალხთა კულტურულ ურთიერთკავშირსა და თანამშრომლობას მოაქვს.

რუს ხალხთან მეგობრობის დიდი სიკეთე ჯერ კიდევ წარსულში კარგად ესმოდათ ქართული ეროვნული კულტურის მესვეურთა და ქომაგთ.

მეორე მხრივ ქართველ ხალხს, მის მდიდარ კულტურას, ლიტერატურას, ხელოვნებას დიდად აფასებდნენ რუსი ხალხის გამოჩენილი ადამიანები.

ხალხთა მეგობრობის ნამდვილ აყვავებას ფართოდ გაუხსნა გზა საბჭოთა ხელისუფლებამ. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გახდა შესაძლებელი სხვადასხვა ხალხის ნაყოფიერი კულტურული ურთიერთობა და თანამშრომლობა.

ახლა უკვე ჩვენი ყოფაცხოვრების ყოველდღიურ აუცილებელ მოვლენად იქცა ხალხთა კულტურების ურთიერთგაცვლა, დაახლოება და ამ გზით ურთიერთგამდიდრება. საქართველოს თეატრები, ორკესტრები, ანსამბლები ხშირად აწყობენ გასტროლებს მოსკოვში, ლენინგრადში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში. ჩვენს მწერლებს, მუსიკოსებს, მხატვრებს, მსახიობებს მჭიდრო მეგობრული შემოქმედებითი კავშირი აქვთ დამყარებული რუსეთის შემოქმედებითს ინტელიგენციასთან.

სამაგიეროდ რუსი მეგობრები ხშირად გვაცნობენ თავიანთ თეატრალურ და მუსიკალურ ხელოვნებას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამის დადასტურებაა უკანასკნელი წლების საგასტროლო სეზონები: მოსკოველები — თბილისში, თბილისელები — მოსკოვში, სპექტაკლები, კონცერტები, გამოფენები, შეხვედრები, საუბრები...

დღეს კი თხუთმეტსაუკუნოვანი თბილისი კვლავ მოსკოველი სტუმრების გულითადი მასპინძელია. მოსკოველ ლიტერატურულ და ხელოვნების დღეები თბილისში ჭეშმარიტად რომ ჩვენი დიდი მეგობრობის მატიანის ერთ-ერთი ღრმაშინაარსიანი ფურცელი იქნება.

სიხარულს მოგვანიჭებს

ალექსი მაჭავარიანი,

სსრ კავშირის სახალხო არტისტი

◆

ქართველი კაცი ოდითგანვე სტუმართმოყვარე იყო. სტუმარს ჩვენში დღესასწაულით ხვდებოდნენ. ამიტომ თავისთავად ცხადია ის სიხარული, რომელსაც ჩვენ, ქართველი კომპოზიტორები განვიცდით მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეებთან დაკავშირებით.

დიდი სიმფონიური ორკესტრის გასტროლები მნიშვნელოვანი მოვლენაა ყველა ქალაქისათვის. ჩვენი ქვეყნის მუსიკალური კულტურის ეტალონად სწორედ ამ ორკესტრს თვლიან. იგი შედგება შესანიშნავი მუსიკოსებისაგან, რომლებიც თავისთავად სოლისტები არიან. მაგრამ მთავარი ძალა მათს ანსამბლურობაშია. წარსული საუკუნეების კლასიკოსებიდან დაწყებული თანამედროვე კომპოზიტორების რთულ ნაწარმოებებამდე — აი სიმფონიური ორკესტრის პროგრამა. მრავალფეროვანი აფიშა საინტერესო კონცერტებს გვპირდება.

ასეთი ერთ-ერთი საინტერესო კონცერტი ჩვენ ბოლოს ვიხილეთ. ეს ორი ოსტატური ნაწარმოები, ორი ოსტატური ინტერპრეტაცია, ორი ოსტატური ანსამბლი, ორი ოსტატური ინსტრუმენტი — ეს ყველაფერი ერთ ადამიანს ეკუთვნოდა. ეს ადამიანი — ეროვნული ფასეულობა, ეროვნული ოსტატობა, ეროვნული ინსტრუმენტი — ეს ალექსი მაჭავარიანი.

ეს ინსტრუმენტი ალექსი მაჭავარიანი ბევრ ადამიანს ეცოდინებოდა.

სიყვარული გზად და ხიდად

გულითადი სტუმარ-მასპინძლობა

საყვარელ ქალაქში

თ. მამონტოვი,

რსფსრ დამსახურებული არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური რუსული გუნდის სოლისტი.

იქნებ აჯობებდა ეს სიტყვები დასასრულს მეთქვა, მაგრამ გული არ მითმენს, რომ დასაწყისშივე არ ვალიარო: ჰოსკოვისა და ლენინგრადის შემდეგ თბილისი ჩემი საყვარელი ქალაქია. არ გეგონოთ ამას უბრალო თავაზიანობა მალაპარაკებდეს. თქვენს ქალაქში ეს ჩემი მესამე სტუმრობაა. უკანასკნელად აქ ამ ათიოდე წლის წინათ ვიყავი. პირველად კი მას ოცდათხუთმეტიოდე წლის წინათ, ტურისტული მოგზაურობის დროს ვესტუმრე. სწორედ მაშინ შევიგრძენი თბილისის სილამაზე და, როგორც შემდეგ დავრწმუნდი, თურმე პირველი ნახვით შეყვარება მართლაც შესაძლებელი ყოფილა.

რაც შეეხება ჩემს „სამსახურებრივ მოვალეობას", ვიმღერებ სოლო ნომრებს რუს კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან. შევასრულებ აგრეთვე რუსულ ხალხურ სიმღერებს. თბილისელი მაყურებლის წინაშე გამოსვლა პირადად ჩემთვის მეტად საპატიო და პასუხსაგებია. ეს, ჩემი აზრით, გუნდსაც შეეხება. რადგან ძნელია გამოხვიდე იმ ხალხის წინაშე, რომელსაც თავისი არსებობის მანძილზე მრავალი შესანიშნავი და გმირობლავი საგუნდო სიმღერა შეუქმნია, და ალფრთოვანო იგი. ვისურვებდი, ჩვენს კონცერტებზე ღირსეული მასპინძლობა გაგვეწიოს მსმენელებისათვის.

გულით მივესალმები ქართველ მეგობრებს!

კეთილ სურვილებით

უჩა ჯაფარიძე,

სსრ კავშირის სახალხო მხატვარი

ჩვენი საბჭოთა ქალაქი, მოსკოვი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კულტურული ცენტრია. მოსკოვში ცხოვრობენ და მუშაობენ სახელმოხვეჭილი მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, თეატრის, კინოს ოსტატები, რომლებიც სოციალისტური კულტურის დიად დროშასთან ერთად, და მაღალიდეურობის, ადამიანურობის, ხალხისადმი სამსახურისათვის უანგარო მოღვაწეობის მაგალითს იძლევიან ყველგან. სწორედ ამიტომ მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატთა, კულტურის მოღვაწეთა სტუმრობა დიდი პატივია მსოფლიოს ყოველი ქალაქისათვის.

დიდად საპატიო და სასიხარულოა მათი სტუმრობა თბილისში. მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების ღვაწლი, რომელიც ჩვენს დედაქალაქში ეწყობა, მხოლოდ უბრალო სტუმრობა ან ცალკეული სამემსრულებლო კოლექტივების უბრალო გასტროლები როდია. ეს არის უგულითადეს მეგობართა ახალი შეხვედრა. კვლავ დატკბობა მეგობართა შემოქმედებით...

მე როგორც სახვითი ხელოვნების წარმომადგენელს, ფრიად მახარებს, რომ სტუმრებს შორის იქნება მოსკოველ მხატვართა დელეგაცია.

მინდა სულით და გულით მივესალმო ჩვენს ძვირფას მოსკოველ მეგობრებს და ვუთხრა: კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება თბილისში, საქართველოს დედაქალაქში!

წრფელი გულით

თამარ მილაშკინა,

რსფსრ სახალხო არტისტი

მსახიობის ცხოვრება და გასტროლები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. თუმცა არის ისეთი გასტროლები, როცა უხალისოდ ალაგებ გზაში საჭირო ნივთებს.

არა მგონია იყოს თუნდაც ერთი თეატრალი, რომელსაც თბილისისაკენ არ მოუხაროდეს.

ეპეპა, თქვენ!

ნინო რამიშვილი, ილიკო სუხიშვილი,

სსრ კავშირის სახალხო არტისტები

იგორ მოისეევის ანსამბლი თბილისში! ეს მოკლე ფრაზა დიდნიშვნელოვანი და მრავლისმეტყველია. ამ ანსამბლის ქება-დიდებას ალბათ ბოეტი თუ შეძლებს. ყველაფერი, რაც კი ითქმის ამ დიდებული მოცეკვავეების მიმართ, უკვე ნათქვამია. 30 წლის განმავლობაში იგორ მოისეევმა მსოფლიო აალაპარაკა. როცა მის მიერ განვლილ გზას გადახედავ, რწმუნდები, რომ ანსამბლი მთელი მსოფლიოს ხალხთა სიყვარულით სარგებლობს. საერთაშორისო ხელოვნება თუ კი შეიძლება წარმოიდგინო, ეს სწორედ ამ „ჯადოქარ" მოცეკვავეებზეა ნათქვამი.

იგორ მოისეევის ქორეოგრაფია მუდამ ნატიფი და გასაგებია, ლაღი და სიცოცხლით სავსეა. იგი პოეტური ნათქვამია ცეკვის ენაზე, პლასტიკისა და რიტმის ზღვა და სიხარულის დაუშრეტელი წყაროა.

ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი სულითა და გულით მიესალმება მოსკოველ მოცეკვავეებსა და ხალხური ქორეოგრაფიის დიდოსტატს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს იგორ მოისეევს.

შეხვედრის სითბო

ი. ჟუკი,

რსფსრ დამსახურებული არტისტი

დიდი სიხარულითა და მდელვარებით მოველოდი თქვენს დედაქალაქში სტუმრობას. მართალია, თბილისში პირველად როდი ვიმყოფები, მაგრამ ყოველთვის მიხარია აქ ჩამოსვლა. თქვენში იცინან და ესმით მუსიკა. ეს კი ჩვენთვის დიდ რამეს ნიშნავს. უპირველეს ყოვლისა ამას, რომ თბილისელთა მიერ ორკესტრის მსახიობთა ოსტატობის შეფასება პირუთვნელი და ანგარიშგასაწევი იქნება. ასეთ შეეთხვევაში, მოგებსხებათ, თავის გამოჩენა გვმართებს.

ძვირფასო ქართველო მასპინძლებო, სად გადამალეთ მზიური თბილისის მცხუნვარე მზე, ასეთი ცივი, გაყინულ „მოსკოველთათვისაც კი საგრძნობი აქნიდი რომ დაგვახვედრეთ. მაგრამ არაფერია, სამაგიეროდ თქვენმა გულთბილმა შეხვედრამ გაგვათბო.

გელით ჩვენი ორკესტრის კონცერტებზე.

მარად ცოცხალი სტრიქონები

მხურვალედ მიყვარს ეს მშვენიერი ქვეყანა (საქართველო — რედ.). გრანდიოზული სილამაზისა და ძლიერების განსახიერება, მისი დათოვლილი მთები და ხეობანი, ამღერებულ ჩქარ მდინარეთა ხმაურით სავსენი, და მისი ლამაზი, ამაყი შვილები.

მაქსიმ გორკი

1928 წ.

წმიდად შეინახეთ ყველაფერი ის, რაც დაკავშირებულია შავშავაძის სახელთან, საქართველოს ისტორიასთან, გრიბოედოვის ამაღელვებელ სიყვარულთან. ეს ჩვენი საერთო ისტორიაა, ძველთაგან მონათესავე ორი კულტურის ისტორია, უკვდავებაში გადასულთა ნაღვლიანი და უძვირფასესი ისტორია.

მიხეილ შოლოხოვი

24 ივნისი, 1961 წ.

ფინანდალი.

ჩვიდმეტი ვიოლინო

გ. ოძროპირიძე,

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი

საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის მევიოლინეთა ანსამბლი რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ი. რეინტოვიჩის ხელმძღვანელობით დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ჩვენს სამშობლოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

17 ვიოლინო და ერთი როიალი — აი თვით ანსამბლის შემადგენლობა. მაგრამ 17 ვიოლინო ერთად აყერებული გამოსცემს ისეთ ბგერადობას, თითქოს ერთი დიდი ვიოლინო უკრავდეს. ამას ანსამბლის კოლექტივი აღწევს თვითეული მევიოლინეს მადალი სამემსრულებლო ოსტატობითა და ერთად დაქაბული მუშაობის მაღალი ტექნიკით. 17 ვიოლინოს ჰმოვანება ერთად იძენს განსაკუთრებულ ახალ თვისებას, რომელსაც აქვს დიდი მოცულობითი ბგერადობა, სიძლიერე, ამავე დროს არ კარგავს ტონის ლირიკულ სითბოს.

რეპერტუარის შერჩევა ასეთი შემადგენლობისათვის, იოლი საქმე არ იყო, მაგრამ აქ მათ დაეხმარნენ ჩვენი კომპოზიტორები. განსაკუთრებით დიდი მეგობრული კონტაქტები აქვთ მათთან კომპოზიტორებს მ. ჩულაკიძეს და რ. შჩედრინს.

აღსანიშნავია, რომ რეინტოვიჩის ხელმძღვანელობით შექმნილმა მევიოლინეთა ანსამბლმა დასაბამი მისცა ჩვენს ქვეყანაში ინსტრუმენტული ანსამბლების ჩამოყალიბებას. ასეთი ანსამბლები შეიქმნა ჩვენშიც, მხედველობაში მაქვს მევიოლინეთა და ვიოლონჩელისტთა ანსამბლები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები შოთა შანიძე და ილარიონ ბეიძელი.

ნორჩ მევიოლინეთა ანსამბლს, რომელსაც შ. შანიძე ხელმძღვანელობს, დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს რეინტოვიჩის ანსამბლთან. ამ რამდენიმე ხნის წინათ მოსკოვში, შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებში, როცა ჩვენი მევიოლინეთა ანსამბლი გამოვიდა საიუბილეო კონცერტზე, რეინტოვიჩის ანსამბლმა ქართველ მევიოლინეებს მეტად გულთბილი შეხვედრა მოუწყო და მათი შეფობა იკისრა.

დიდი თეატრის მევიოლინეთა განთქმული ანსამბლი პირველად ჩამოდის თბილისში. სასიამოვნოა, რომ მას თავის რეპერტუარში შეტანილი აქვს ქართული მუსიკიდან კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის ნაწარმოებები.

* * *

სურათზე: ნორჩ მევიოლინეთა ანსამბლის შეხვედრა დიდი თეატრის მევიოლინეთა ანსამბლთან. ცენტრში — ანსამბლების ხელმძღვანელები ი. რეინტოვიჩი (მარცხნიდან მესამე) და შ. შანიძე.

ძმური დამოკიდებულება

სიკო დოლიძე,

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კინორეჟისორი.

დღეს, როდესაც ჩვენ ქართული მასპინძლობით ვამაყობთ ძვირფას სტუმრებს, როდესაც თბილისი გაზაფხული სახვმოდიმარი ხვდება რუს მეგობრებს, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის ძმური დამოკიდებულება და მჭიდრო თანამშრომლობა, ჩვენს მანძილზე რომ გვაკავშირებდა და გვაკავშირებს ჩვენ, ორი ერის კინოს ოსტატებს. ეს კავშირი ფესვმაგარი და კარგი ტრადიციების მქონეა.

ქართული კინემატოგრაფიის ისტორია მუდამ მადლიერების გრძნობით და სიყვარულით მოიხსენიებს იმ რუს კინომოღვაწეებს, რეჟისორებს, მსახიობებსა თუ ოპერატორებს, რომლებმაც ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეს ჩვენი ეროვნული კინოს შემდგომ განვითარებას. ისინი სწავლასა და დროს ნაყოფიერად მუშაობდნენ კინოსტუდია „ქართულ ფილმში".

მოსკოვის ხელოვნებისა და ლიტერატურის დღეები თბილისში კიდევ ერთი დადასტურება იქნება იმისა, თუ რა ახლოს ვართ ჩვენ ერთმანეთთან, თუ როგორ ვჭირდებით ერთმანეთს, რომ საბჭოთა ხელოვნება და ლიტერატურა კვლავაც მაგალითი იყოს ყველგან და ყველასათვის.

მიხეილ ლუკონინი

ეე თქვენ გიგონებთ

ციკლიდან „ლექსები საქართველოზე"

ცა უცისკრესი,
ცა ნათელი,
ცა არცა ფერად, —
ოცნების მგგერელი მინანკრებიდ
წარმტაცებს მზერას.

ეს ცა, ეს ველი,
ეს მთა, ეს ყანა, —
მზე და ქვეყანა
კვლავ საზეიმოდ მორთული არი,
კვლავ სამაისოდ მორთული არი.

მაგრამ ეს სევდა საიდან გაჩნდა,
ნათელი სევდა,
ეს უცნაური სევდა და ზარი...
რატომ განეწყო მზუხრისათვის
ასეთ ეამს ქნარი?!

დავალ თბილისში სიამით, გზნებით,
გაზაფხულს, როგორც პეპელას დავდევ, —
მივყვები მზეს თუ ზეცაზე ვჩნდები
და ცისარტყელას ვტეხ, ვით სტრიქონებს, —

საქართველოში
ყველგან, ყოველ ეამს,
ვაზის ლერწზე და დედის თვალებში
მე გხედავთ, მე გცნობთ, მე თქვენ გიგონებთ.
მე გცნობთ სიცილით, რიტმით, საუბრით,
თქვენია ეს ხმა, ეშხი, ანცობა...
ეს არის თქვენი სიკბატუკე და
ეს არის თქვენი კაი კაცობაც.

ვინ იფიქრებდა ფრონტზე. იქ, სადაც
გვამები ერთურთს ეწყო გორებად,
თქვენი სიმღერის, თქვენი ოცნების,
თქვენი სიცოცხლის განმეორებას.

მე გხედავთ, მე გცნობთ,
როცა თბილისში
წყობაზედ მოდიან ბალში ბავშვები,
მე მესმის „ქართლის დედის" ჩურჩული,
მთაწმინდაზე რომ თეორად ბრიალებს,
როდესაც თქვენზე ფიქრობს ერთობაედ
და ჩუმად მოსთქვამს:
— რად აგვიანებთ?!

რა დროს დარდია,
მაგრამ მე ახლა
მტკვრის ჩაყოლებით ჩავყვები ქუჩას
და თქვენ შეგხვდებით — სამას არაგველს,
ოთარ ობელისკთან როცა შევდგები.
თქვენც აქ დაფრინავთ,
როგორც მტრედები.
ქართველო ძმებო, ამხანაგებო,
თანამებრძოლო ჯარისკაცებო,
ომის გზაწვრილი ერთად გვივლია, —
დღეს და მჩქეფარებს მაისის ტალღა,
რა დროს დარდია, მაგრამ მე ახლა
რომ არ გახსენოთ, არ შემიძლია.

ისევ ერთად ვართ, ქართველო ძმებო,
უწვერულვაშო ახალგაზრდებო,
თანამებრძოლო ამხანაგებო,
შინმოუსვლელო ჯარისკაცებო.
ისევ წყობაში ვართ, ისევ ებება
ნიჩაბი ნიჩაბს, კონდახი კონდახს,
და ისევ ვათბობთ ერთმანეთს მხრებით, —

შინმოუსვლელო ჯარისკაცებო,
თქვენ აქ ხართ,
მე თქვენ თბილისში გხვდებით.

მახსოვს, სამკუთხად ნაკეცე ბარათებს,
საქართველოდან გამოგზავნილებს,
მე მიკითხავდით მიწურში ღამით,
მერე...
გაყინულ მდინარეს ვტეხდით —
მერე გავდოპეთ ტალახი, შლამი...
იყო მიზნების უნაპირობაც,
მაგრამ გავედით გალმა ვრილით
და ჯარისკაცის უხეში ბლონდით
ჩვენ შევუხვიეთ მიწას ჭრილობა.

მხიარულების მადლი და ეშხი
გადაგვავიწყდა თანდათან ფრონტზე, —
ომი ომია, ომის დროს, ბბა,
ზეიმზარისთვის როდი იცლიან.

გავეპაჭარავდით თანდათან მერე,
ველარ ვარჩევდით გზადაგზა ფერებს, —
რწმენა კი მაინც არ შეგვიცვლია.

ჩვენ ვიცით, რაა
ნაკუწ-ნაკუწად დაჭრილი მიწა.
ვით ჯარისკაცის ერთი დღის კერძი,
პურის ნატეხი — სამასი გრამი...
მაგრამ ჩვენ სიტყვაც არ დაგვცდენია
და საყვედური სამშობლოსათვის,
ქართველო ძმებო, არ გვითქვამს წამით.

დავიმახსოვრე ორმოცდაერთი, —
„მოსკოვი, კრემლი საფრთხეში არის!"
დავიმახსოვრე ორმოცდაორი, —
„დედა-რუსეთის თოვლი და ქარი",
დავიმახსოვრე ორმოცდასამი, —
„ვოლგა და ქერჩი..."
და თუ საწუთროს ცოცხალი შევრჩი,
მხოლოდ იმიტომ,
ვიღაც დაეცა ჩემს ნაცვლად თოვლში, —
წინ მივიწევდით ერთობის დროშით.

ბერლინისაკენ მივიწევდით,
ქართველო ძმებო,
ცა ყურს უგდებდა სამყაროს ზანზარს, —
მე გადავრჩი და, ქართველო ძმებო,
თქვენ საფლავებად დაგტოვეთ გზა-გზა.

შინმოუსვლელო ქართველებო,
მე მახსოვს მარად,
მრისხანება და შეხანატრი სინანე თქვენი,
ომი იყო და, ო, არავის ეცალა მაშინ —
თქვენს საფლავებზე არ დადგრილა
ცრემლი მცირედი, —
კვდებოდით, მაგრამ
შეხცქეროდით
მერმისს
იმედით.

ახლა ცა ლურჯად ბიბინებს და
ყვავილობს მიწა,
დავდივარ, ვფიქრობ,
თქვენს მიწაზე ვწერ ამ სტრიქონებს,
შინმოუსვლელო ქართველებო,
თქვენს სახელს ვფიცავ,
მე თქვენ მიყვარდით,
მე თქვენ გიგონებთ!

თარგმანი **ეორის ფოცხიშვილისა.**

ხალხური, აკადემიური

ვანო მურადელი,

რსფსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი.

ბატარა წერილს გიგზავნით მოსკოვიდან და ვნანობ, რომ ჩემს მშობლიურ ქალაქ თბილისში ამ შესანიშნავ დროს ვერ ჩამოვალ. თქვენი გაზეთის მკითხველებს მინდა გადავცე გულითადი სალამი და საუკეთესო სურვილები.

მოსკოვიდან ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატთა დიდი ჯგუფი გამოეშგზავნა და თბილისს ეწვევა. დღეს ჩემი გული თქვენთან არის, ჩემო თბილისელებო!

მე, როგორც კომპოზიტორს, რა თქმა უნდა, მუსიკაზე შემფერის საუბარი, მაგრამ მსურს ეს ტრადიცია დავარღვიო და სიტყვა იგორ მოისეევის ანსამბლზე ვთქვა...

ამ ბოლო წლებში იგორ მოისეევის ანსამბლს პირდაპირ „იტაცებენ" საზღვარგარეთ და ძალიან ბევრი რესპუბლიკა თუ ქალაქი ვერ ახერხებს ამ ბეშმარიტად ბრწყინვალე ქორეოგრაფიული კოლექტივის ნილვას. მე კი ვიცი, რომ „ცეკვის ღმერთები" ამ საიუბილეო წელს, როცა მათ ოცდაათი წელიწადი შეუსრულდათ, თქვენსკენ სიამოვნებით წამოვიდნენ.

მთელ მსოფლიოს საამართლიანად მიაჩნია ანსამბლი პლანეტის ქორეოგრაფიულ სარკედ. ეს სარკე, ასახავს ცხოვრებას ცეკვაში, რომელიც გაპოეტურებული და ამაღლებულია იმაზე, რაც ჩვენს ყოველდღიურობაშია და რაც მხოლოდ საფუძველია, იმპულსია სულ ახალი და ახალი ნაწარმოებების შექმნისა ამ კოლექტივში. ხალხი ასაჩუქრებს მას თავისი შემოქმედების ალმასებით. იგორ მოისეევი და მისი ანსამბლი ალმასებს წვიმდა წყლის ბრილიანტებად აქცევენ, მათი გათლა-დახვწისათვის არც დროს იშურებენ, არც ძალას. ძვირფასი საუნჯე კვლავ უბრუნდება ხალხს.

მაგრამ ანსამბლი არა მარტო სახალხოა თავისი პირდაპირი კუთვნილებით, თავისი ფართო პოპულარობით, ყოველისმომცველი სიყვარულის ძალით. ანსამბლი თან აკადემიურიც არის. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს წინაშეა ეტალონი, საზომი ხელოვნებისა, ოსტატობისა, არტისტიზმისა ხალხური ცეკვის სფეროში.

ჭინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ აქ თვითეული შემსრულებლის მხატვრული ინდივიდუალობა გვაოცებს და აღგვაფრთოვანებს. გვაოცებს ისიც, რომ მსახიობები, რომლებიც აბსოლუტურად არ ჰგვანან ერთმანეთს, რასაც უნდა ასრულებდნენ, ყოველთვის ერთმანეთთან და თავიანთ ხელმძღვანელთან არიან. ისინი ყოველთვის ერთად არიან: „ანსამბლი" ხომ სწორედ ერთად ყოფნას ნიშნავს.

აი, მაგალითად, „პარტიზანები". შეხედეთ მათს გამოჩენას — ცხენოსანთა კავალკადის გამოსვლა: ყველანი ერთნაირად მოძრაობენ. ამავე დროს ყველანი სხვადასხვა ადამიანები არიან: ერთი დაღლილა, მეორე მხნედ არის, მესამე — მეოცნებეა, მეოთხე ცდილობს თავის მეზობელს სასეირო რაღაც უამბოს... ჩვენს წინაშეა ერთი რამ. იმ ურიცხვიდან, რითაც მოისეევის ბალეტი განსხვავდება კლასიკური ბალეტისაგან: იქ კორდებალეტში ყველა ერთნაირად არის დაღვრემილი თუ გახარებული. აქ თვითეული მხიარულობს, სევდას ეძლევა, ბრძოლაში მიეშურება, დაზვერვაზე მიდის, მეთაურის ბრძანებებს ასრულებს — თავისებურად.

მე ვლაპარაკობ „პარტიზანებზე" იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს ეს ცეკვა. მასში აკუმულირებულია ის „ინდივიდუალური მასობრიობა", რომლითაც გამოირჩევა მოისეევის ყველა ნამუშევარი, დადგმული მრავალ მონაწილეთათვის. მაგრამ, მართალი მოგახსენოთ, ნაკლებად როდი მიყვარს მკვირცხლი „ხორუმი", ცეცხლოვანი „ჟივა, ჟუბა!", ზღაპრული „ბეტელიცა", კომედიური „ხურათები წარსულისა" და ოპტიმისტური „საბჭოთა სურათები". და საერთოდ, გამიჭირდება დავასახელო ანსამბლის ნამუშევარი, რომელიც არ მომწონდეს, ვინაიდან არა მარტო მასობრივი, არამედ სოლური ნაწარმოებებიც, დუეტებიც, „ტროიკებიც", „კვარტეტებიც" გამოირჩევა საოცარი. მრბილურობით, ხატოვანი გამომსახველობით, მაღალი იდეურობისა და სრულყოფილი ფორმის შეერთებით.

დღეს, 30 წლის შემდეგ, ანსამბლი უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე თავისი არსებობის პირველ წლისთავზე: მაშინ იგი გზის მოსინჯვით მიდიოდა, და ამიტომ მისი ნაბიჯი უთუოდ შეყოვნებული იყო. ახლა იგი ახალგაზრდა მოწიფული ვაჟაცის მტკიცე და სწრაფი ნაბიჯით მიდის. გზა აღმა მიდის. გზა წინ მიდის. მშვენიერი კოლექტივის წინაშე შორეთს იქით შორეთი იხსნება, და არც ერთი ადამიანი უკან არ დაიხევს, არ გადაუხვევს სიმართლის ხელოვნების აღმავალ ბილიკს, ხალხისადმი სამსახურის ხელოვნებას.

* * *

სურათზე: ცეკვავს იგორ მოისეევის ანსამბლის ქალთა ჯგუფი.

რას ვნახავთ, რას მოვისმენთ

მ რავალფეროვანია მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების პროგრამა. ერთი კვირის განმავლობაში თბილისელებს საშუალება ექნებათ გაეცნონ მოსკოვის სამუსიკო, სატელტრადო, ქორეოგრაფიული და თეატრალური ხელოვნების ცნობილ კოლექტივებს, ცალკეულ შემსრულებლებს.

მოსკოვის **ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები საზეიმოდ გაიხსნება** დღეს, 19 მაისს, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში.

სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის (დირიჟორი რსფსრ სახალხო არტისტი **კ. კონდრაშინი) და სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური რუსული გუნდის** (მხატვრული ხელმძღვანელი სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ა. სვეშნიკოვი**) გაერთიანებული **კონცერტი** გაიმართება 20 მაისს, თბილისის საოპერო თეატრში. პროგრამაშია სიმფონიდოეს „პათეტიკური ორატორია", პროკოფიევის „პირველი კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის" და ს. ყრიაბინის „ექსტაზის პოემა". სოლისტები — რსფსრ სახალხო. არტისტი **ა. ვედერნიკოვი**, რსფსრ დამსახურებული არტისტი **ნ. ისაკოვა** და საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი **ლ. ისაკაძე.**

22 მაისს საოპერო თეატრში **სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი** კ. **კონდრაშინის**, დირიჟორობით შეასრულებს პროკოფიევის „მეხუთე სიმფონიას", ჩაიკოვსკის „კონცერტს ვიოლინოსა და ორკესტრისათვის" და სტრავინსკის „წმინდა გაზაფხულს". სოლისტი — ჩაიკოვსკის სახელობის III საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი **ვ. ტრეტიაკოვი.**

23 მაისს კონსერვატორიის დიდ დარბაზში **სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს** უდირიჟორებს გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის დიმიტრი შოსტაკოვიჩის შვილი, დირიჟორთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი **მაქსიმ შოსტაკოვიჩი.** პროგრამაშია ჩაიკოვსკის უვერტიურა-ფანტაზია „რომეო და ჯულიეტა", „პირველი კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის" და შოსტაკოვიჩის მეხუთე სიმფონია. სოლისტი — ჩაიკოვსკის სახელობის III საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი **ალ. ლლობოდიანსკი.**

სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური რუსული გუნდი გარდა საოპერო თეატრისა კონცერტებს გამართავს აგრეთვე. ოფიცერთა სახლის დარბაზში (22 მაისს), კონსერვატორიის დიდ დარბაზში (23 და 24 მაისს).

სსრ კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ხელოვნებას, რომლის მხატვრული ხელმძღვანელია სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი **ი. მოისეევი,** შეგიძლიათ გაეცნოთ სპორტის სასახლეში 22, 23 და 24 მაისს.

მოსკოვის ეივ. ვახტანგოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი 21, 22 და 23 მაისს რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე წარმოადგენს ლეონიდ ზორინის ორნაწილიან ლირიკულ დრამას **„ვარშავის მელოდიას".** სპექტაკლის დამდგმელია თეატრის მთავარი რეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი **რ. სიმონოვი.** როლებს ასრულებენ — რსფსრ სახალხო არტისტები, რსფსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **ი. ბორისოვა** (გალენა) და ლენინური პრემიის ლაურეატი **ბ. ულიანოვი** (ვიქტორი).

მოსკონცერტის ეტრადის ოსტატებს ოთხი დღის განმავლობაში (20-23 მაისი) დაეთმობათ ფილარმონიის საზოგადოებრივ თეატრი.

მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი რსფსრ დამსახურებული არტისტი **არ. ეიზენი** 21 მაისს გამოვა საოპერო თეატრში როსინის **„სევილიელ დალაქში",** ხოლო 22 მაისს რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში გამართავს სოლო-კონცერტს.

ცნობილ მომღერალს, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტს რსფსრ დამსახურებულ არტისტს **თ. მილაშკინას** 23 მაისს მოეუსმენთ საოპერო თეატრში, იგი გამოვა ვერდის **„აიდაში".**

მოსკოვის დიდი თეატრის ბალეტის სოლისტები რსფსრ სახალხო არტისტი **ნ. ტიმოფეევა** და **ბ. ლავროვსკი** 24 მაისს გამოვლენ ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლ **„ჟიზელში".**

სსრ კავშირის დიდი თეატრის **მევიოლინეთა ანსამბლს** (მხატვრული ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **ი. რეინტოვიჩი)** 20 მაისს კონსერვატორიაში აქვს კონცერტი, რომლის პროგრამაშია რუსული კლასიკური მუსიკა და თანამედროვე კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

თბილისელები გაეცნობიან პოპულარულ რუს კომპოზიტორებს **ს. ტულიკოვს, კ. ბოლჩანოვს, ა. ფლიარკოვსკის,** რომლებიც ძირითადად სიმღერის ჟანრში მუშაობენ. მათი კონცერტები გაიმართება 20 მაისს რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში და 21 მაისს ოფიცერთა სახლის დარბაზში.

მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების საზეიმო დახურვა მოეწყობა სპორტის სასახლეში 25 მაისს.

როგორც ვხედავთ, კვირეულის პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესოა.

ჩვენს არე-მარეში

გუშინდელი ფოსტიდან

□ **სოხუმი.** ფსხუ რაიონში ყველაზე მაღალმთიანი სოფელია, მაგრამ აქაური მშრომელები მოწყვეტილი როდი არიან ქალაქის ცენტრს. ყოველდღე აქ რამდენჯერმე მოდის ვერტმფრინავი.

სოფლის კულტურულ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს აქაური სკოლა, რომელიც ხშირად მართავს საღამო-კონცერტებს კოლმეურნეობის კლუბში. ამ დღეებში დადგეს ა. ოსტროვსკის პიესა „ჰეკა-ქუხილი“.

ნ. მიქაშავიძე.

□ **ახალციხე.** **პრესის დღეს პარტიის რაიკომის პარტიული განათლების კაბინეტში მოეწყო რაიონის კოლმეურნეობების,** საბჭოთა მეურნეობების, სკოლების და სხვა საწარმო-დაწესებულებების კედლის გაზეთების გამოფენა-დათვალიერება. გამოფენა მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავს.

შ. მესხი.

□ **ბათუმი.** თბომაგალმა „ადმირალმა ნახიმოვმა“ ოდესიდან ბათუმში ათასორმოცდათი ტურისტი ჩამოიყვანა.

სტუმრები ინტერესით გაეცნენ ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს.

ცოცხალი ყვავილებით შეამკეს დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლი. კომფორტაბელური კატარღებით ესტუმრნენ მწვანე კონცხს, დათვალიერეს ბოტანიკური ბაღი.

ბრ. ჩხაიძე.

□ **ადიგენი.** სოფელ ფხეროს რვაწლიანი სკოლის მოსწავლეებმა ისტორიის მასწავლებლის ქ. ქავთარაძის ხელმძღვანელობით მოაწყეს ექსკურსია ვარძიაში.

მოსწავლეებმა დათვალიერეს კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია.

გ. სხირტლაძე.

სცენაზეა იგორ მოისეევის ანსამბლი! — ეს სიტყვები მრავლის მთქმელია ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების მოყვარულთათვის. ეს სურათი მოისეევლთა ერთ-ერთ კონცერტის დროს არის გადაღებული. ამ დღეებში საქართველოს დედაქალაქის მაყურებლები ჭეშმარიტ ესთეტიკურ სიამოვნებას მიიღებენ რუსი მოცეკვავეების კონცერტებით, რომლებიც თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება 22, 23 და 24 მაისს.

უშიშარი მონადირეები

ვანი. (საკ. კორ.). რაიონში სახელი გაითქვეს მამაცმა მონადირეებმა ქ. მსხილაძემ და მ. ხელაძემ.

დღეანდელ საზამთრო სანადირო სეზონში ქ. მსხილაძემ ბეწვეულის დამზადების პუნქტს ჩაბარა 5 მელიის ტყავი, 4 ტურის, 15 კვერნისა და სხვა ნადირთა ტყავები.

მონადირე მ. ხელაძემ ბეწვეულის დამზადების წლიური დავალება 293 პროცენტით შეასრულა.

უშიშარ მონადირეებს რამდენჯერ დათვი და სხვა მტაცებელი ნადირი ჰყავთ განადგურებული.

გვეტყობინებენ „კომუნისტისა“ და საქდესის კორესპონდენტები

ჩემპიონატი სტარტს იღებს

დღეს მინსკში დაიწყება ევროპის XXIII ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. რასაკვირველია, მთავარი ჯილდოები, როგორც წესი, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები იქნება, მაგრამ არც სხვები დარჩებიან ხელცარიელნი, საქმე იმაშია, რომ საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა ყველა მონაწილეს გადაეცეს სპეციალური სამახსოვრო მედალი.

ასეთი შეჯიბრება საბჭოთა კავშირში პირველად ეწყობა. მასში მონაწილეობას მიიღებენ 20 ქვეყნის წარმომადგენლები. სპეციალისტები და სპორტული მომამზადებლები წარმატებას საბჭოთა მოჭიდავეებს უწინასწარმეტყველებენ, რომლებიც მსოფლიოს რვაგზის და ოლიმპიურ ასპარეზობათა ოთხგზის ჩემპიონები არიან.

საბჭოთა მოჭიდავეები ევროპის ჩემპიონატზე 1947 წელს გამოვიდნენ, სადაც 3 ოქროს და თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. პირველი ჩემპიონები იყვნენ **ნ. ბელოვი, კ. კობერიძე** და **ი. კოტკასი.**

ვინ გამოვლენ მინსკის ასპარეზობაზე საბჭოთა კავშირიდან?

ესენი არიან: **ს. რიბალკო, რ. კაზაკოვი, ხ. აკამოვი, გ. საპუნოვი, გ. ვერშინინი, ა. იურკევიჩი, ვ. მერკულოვი. ნ. შმაკოვი.**

ჩემპიონატი სამ დღეს გაგრძელდება.

მხოლოდ გროსმაისტერები

ხვალ მოსკოვში საბჭოთა არმიის ფრუნზეს სახელობის ცენტრალურ სახლში საზეიმოდ გაიხსნება დიდი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში 18 გროსმაისტერის მონაწილეობით. ასეთ ასპარეზობას იშვიათად შეხვდებით საჭადრაკო სამყაროში. **პეტროსიანი, სმისლოვი, ტალი, შტეინი, სპასკი, კერესი, გელერი, ბრონშტეინი, გიპლისი** — აი ისინი ვინც დაიკავენ ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას. ტურნირის საზღვარგარეთელი მონაწილენი იქნებიან: **გილეკი, გოგოცოვი, ბეტრიუ, გლიგორიჩი, ნაიდორფი, კასმანი, პორტიში, ულმანი, ფილიპი.**

რეგლამენტი მკაცრია — სამი ტური ზედიზედ, გადადებული პარტიების დამთავრება, კვლავ სამი ტური გადადებული პარტიების დამთავრებით და მხოლოდ ამის შემდეგ ერთი დღით დასვენება. საუკეთესოთათვის დაწესებულია 9 პრიზი. ჯილდოებს მიიღებენ აგრეთვე საუკეთესო შემოქმედებითი პარტიებისათვის, ტურნირი 16 ივნისამდე გაგრძელდება.

მაგრამ ეს ერთადერთი როდი იქნება. სხვადასხვა მასშტაბის ტურნირები მოეწყობა ლენინგრადში, კიევში, რიგასა და ლვოვში. მათ შორის უფრადღებას იპყრობს კიევის ქალთა საერთაშორისო ტურნირი უძლიერესთა მონაწილეობით. სხვებთან ერთად აქ გამოვლენ მსოფლიოსა და სსრ კავშირის ჩემპიონები **გაფრინდაშვილი** და **ალექსანდრია.**

რამდენიმე სტრიქონით

□ **დღეს** სსრ კავშირის თასის **გათამაშებაში ჩაებმება „ა“** კლასის პირველი ლიგის ფეხბურთელთა ცხრამეტივე კოლექტივი. ობილისის „დინამოს“ კუბაზეში პაექრობა ექნება ადგილობრივ „კრილია სოვეტოვთან“, მოსკოვში კი ერთმანეთს შეხვდებიან „ლოკომოტივი“ და ქუთაისის „ტორპედო“.

□ მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩებად სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდს 3 ივნისს პარიზში ამხანაგური შეხვედრა ექნება საფრანგეთის ნაკრებთან. ამ ასპარეზობისათვის ფრანგები გაცხოველებით ემზადებიან. მათ ჰანოვერში გამართეს ამხანაგური მატჩი საკუთარ გუნდ „ჰანოვერთან“ და თამაში ფრედ (3:3) დამთავრეს.

□ **ლონ-ანჟელოსი** გაიმართა ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და პორტუგალიის „ბენფიკას“ მატჩი ფეხბურთში. გიმარჯვეს პორტუგალიელებმა ანგარიშით 3:1. ინგლისელთა კარში სამივე ბურთი **ეისებიომ** გაიტანა.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. **რ. გ. ლეონაშვილი** დანიშნა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილედ.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲡ ᲘᲦᲔᲑᲡ

ᲠᲐ ᲛᲝᲣᲕᲘᲓᲐᲗ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘᲝᲠᲔᲑᲡ?

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევმატჩებმა ფრიად მოულოდნელი შედეგები მოიტანეს. თუმცა კონტინენტის პირველობის ეს ეტაპი 1968 წლის 1 თებერვლამდე გასტანს და ამდენად შეხვედრების უმრავლესობა ჯერ კიდევ წინ არის, მაგრამ უკვე საკმაოდ შეიელახა ლონდონის პრიზიორების — ინგლისის, გფრ-სა და პორტუგალიის გუნდების პრესტიჟი.

დავიწყოთ მსოფლიოს ჩემპიონით — ინგლისის ნაკრებით. ლონდონის ტრიუმფის შემდეგ მას თითქმის არავინ დაკლებია. მოხდა მხოლოდ ერთი ცვლილება — ჰანტი, რომელიც „ფორმა დაკარგა“, ბრისმამ შეცვალა. როგორც მწვრთნელმა ალფ რამსეიმ კორესპონდენტებს განუცხადა, მისი ნაკრები ახლა ისეთსავე დონეზე თამაშობს, როგორც შარშან ივლისში. ამის მიუხედავად, ინგლისელებს „დიდი შანსები აქვთ“ ვერ მოხვდნენ ევროპის 8 უძლიერეს გუნდს შორის. ახლა მერვე შესარჩევ ჯგუფში, სადაც ინგლისელები გამოდიან, სამი თამაშიდან 5 ქულით ლიდერობენ შოტლანდიელები.

გასაჭირში აღმოჩნდა აგრეთვე მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი (მეოთხე შესარჩევი ჯგუფი), რომელიც იუგოსლავიებსა და ალბანელებთან ერთად გამოდის. ალბანელები აუტსაიდერებად უნდა ჩაითვალონ. ასეთ პირობებში ბელგრადში წაგება (0:1) შეიძლება კმელუტ შეინის გუნდისათვის საბედისწერო გამოდგეს. ფინალში გასვლისათვის გერმანელებმა ჯერ აუცილებლად უნდა მოუგონ მატჩ-რევანში იუგოსლავებს, შემდეგ კი სძლიონ დამატებით შეხვედრაშიც (ბუთუთის შეფარდებას შესარჩევ თამაშებში მნიშვნელობა არა აქვს). რა თქმა უნდა, გერმანელთა მდგომარეობა მეტად არასახარბიელოა.

ძალზე ცუდად არის პორტუგალიელების საქმეც. ეინსბეინის გუნდმა თავის მოედანზე დაკარგა ორი ქულა შვედებთან (1:2). ხანგრძლივი დროით გამოვიდნენ მწყობრიდან ეინსებიოს ცნობილი პარტნიორი, ახოვანი ტორესი და გუნდის კაპიტანი პოლუნა. გარდა შვედებისა, ევროპის მეორე შესარჩევ ჯგუფიდან ფინალში გასვლის პრეტენდენტები არიან ბულგარელებიც. ისე რომ პორტუგალიელების მდგომარეობა ფრიად მძიმეა.

ერთი სიტყვით, ევროპის ფეხბურთში „ფასეულობის დიდი გადაფასება“ ხდება.

გ. გამრეკელი.

გავლილია დისტანციის ნახევარი

მოვიდოდეს ველოსრბოლის მონაწილეებმა გაიარეს დისტანციის ნახევარი და ფინიშისაკენ მიიკვლევენ გზას.

მერვე ეტაპი ბერლინ-ლაიფციგი იყო. ველოსმრბოლელებს უნდა გაეკლოთ 206 კილომეტრი. ფინიშამდე მეტოქეები თითქმის ერთ ჯგუფად მიდიოდნენ. გადამწყვეტ მომენტში ყველას აჯობა ჰოლანდიის წარმომადგენელმა **პეტ ტესელარმა.**

როგორი მდგომარეობა პირად ასპარეზობაში?

აი უკვე ხუთი ეტაპია ზედიზედ ლიდერის მაისურით ველოსრბოლას სათავეში უდგას ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენი **იან სმოლიკი.** რვა ეტაპის შემდეგ მისი საერთო დრო 27 საათი, 27 წუთი და 52 წამი. საბჭოთა სპორტსმენებიდან ყველაზე უკეთესი შედეგი აქვს **ვ. ტკაჩენკოს** — 27 საათი, 31 წუთი და 2 წამი.

გუშინ ველოსრბოლებს გასაელელ ჰქონდათ ორი ეტაპი.

ᲠᲐ ᲕᲘᲪᲘᲡᲗ, ᲠᲐ ᲔᲛᲖᲘᲡᲔᲑᲘᲗ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

19 მაისი

09.30 — კინონარკვევი, 10.00 — ჩეხოსლოვაკიური მხატვრული ფილმი „ნეტარი სეკვდილის ანგელოზი“, 11.25 — პიონერის საზეიმო პარადი, მიძღვნილი პიონერული ორგანიზაციის დაბადების 45 წლისთავისადმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.25 — გადაცემათა პროგრამა, 17.30 — ოქტომბრელთათვის — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“, 17.45 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 17.55 — განცხადებები, 18.00 — დიდი ოქტომბრის 50 წელი — „მეორე მსოფლიო ომის შედეგები“, 18.30 — „ინპრიდმაშ-67“ — რეპორტაჟი საერთაშორისო გამოფენიდან (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების კვირეულის საზეიმო გახსნის ტრანსლაცია თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან, 21.30 — კინონარკვევი, 21.50 ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.10 — ქართული მხატვრული ფილმი „გლახის ნაამბობი“.

20 მაისი

16.55 — გადაცემათა პროგრამა, 16.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის, — „ჩვენ ოქტომბერმა დაგვამეგობრა“, 18.30 — დოკუმენტური ფილმი, 19.45 — „ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე, 20.25 — კინონარკვევი, 20.35 — „მუსიკალური სეზონრები“ — საესტრადო კონცერტი მაყურებელთა თხოვნით, 21.25 — საუბარი — „საქართველო მონრეალის საერთაშორისო გამოფენაზე“ (სტუდიაში — საქართველოს მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარე გ. მიქელაძე), 21.35 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.55 — მხატვრული ფილმი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲠᲔ-ᲛᲐᲠᲔᲨᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ

ᲒᲕᲘᲙᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡᲐ“ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲒᲘ�გᲐᲜᲢᲣᲠᲘ ᲛᲔᲬᲧᲔᲠᲘ

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ, 17 მაისი. (საქდესი). 2.230 მეტრი სიმაღლის ხანარბაღის მთიდან ქალაქ ელიაბიგის (ლენინგორის ოლქი) რაიონში სასოში 100 მეტრის სიჩქარით გიგანტურმა მეწყერმა დაიწყო მოძრაობა გელუკის ტბისაკენ. ფიფიანაც სათავეს იღებს „ლენინგრადის ტიგროსი“. ტბაში ვარდება ქვიშის უზარმაზარი მასივები, ალდის ქანები და ღორღი. მეწყერმა გაანადგურა ამ რაიონში განლაგებული ბაღები, 400-500 მეტრი სიგრძის უბანზე ჩახერგა ოკინგზა, რომელიც ელიაბიგს დარბაზეთთან აკავშირებს, გადაბრუნა სატვირთო მატარებელი, რომელიც ამ რაიონში აღმოჩნდა.

როგორც სახელმწიფო რეინგზების გენერალურმა დირექტორმა ყაზიმ იურდაკულმა განაცხადა, მეწყერი წარმოიშვა ამ ბოლო დღეებში მოსული წვიმების შედეგად.

მიწისძვრა ჩრდილოეთ სომხეთში

ᲯᲐᲙᲐᲠᲢᲐ. 18 მაისი. (საქდესი)- აჩეხის ოლქში (ჩრდილოეთ სუმატრა) ძლიერი მიწისძვრის შედეგად დაიღუპა 14 კაცი, დაინგრა 2000 სახლი, ოუწყება ანტარას საგენტო.

ᲛᲔᲖᲜᲔᲑᲐᲠᲔ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ

ᲐᲑᲔᲚ ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 90 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘ

ᲐᲑᲔᲚ ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 90 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲤᲘᲖᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ფიზიკოსებს ესტუმრა საფრანგეთის ატომური ენერგიის კომისარიატის გენერალური ადმინისტრატორი პროფესორი ირიში. მასთან ერთად ჩამოვიდნენ საერთაშორისო ურთიერთობის სამმართველოს უფროსი პერო და საფრანგეთის ატომური ენერგიის კომისარიატის ფიზიკური კვლევის სამმართველოს უფროსი ვან-დრეისი. საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს დელეგაციას ახლავს საფრანგეთის მოსკოვის საელჩოს მეცნიერების საკითხთა ატაშე ბილდერლინგი.

პროფესორი ირში და მისი თანმხლები პირნი ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდნენ, რათა გაგრძელონ შეთანხმება სსრ კავშირის ატომური ენერგიის კვლევის კომიტეტთან საერთო სამუშაოებისა და დელეგაციების გაცვლის შესახებ. საფრანგეთის დელეგაცია იყო მოსკოვში, ლენინგრადში, კრივოი როგსა და ულიანოვსკში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში სტუმრები გაეცნენ დაბალი ტემპერატურების ფიზიკის, მყარი სხეულის ფიზიკის, ბიოპოლიმერთა ფიზიკის, გამოყენებითი და ბირთვული ფიზიკის განყოფილებათა მუშაობას. ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებმა საფრანგეთის ატომური ენერგიის კომისარიატის წარმომადგენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

დარბაზობას ესწრებოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. გ. გომელაური.

18 მაისს საფრანგეთის ატომური ენერგიის კომისარიატის დელეგაციის წევრები ერევანში გაფრინდნენ. (საქდესი).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 04063 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

• ᲒᲕᲘᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲘ ᲙᲘᲜᲔᲛᲐᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲡᲢᲔᲑᲘ •

19-ᲓᲐᲜ 25 ᲛᲐᲘᲡᲐᲛᲓᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡᲐ“ ᲓᲐ „ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲜᲐᲮᲝᲗ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲘ ᲙᲘᲜᲔᲛᲐᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘ.

„ᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ“

(1812 ᲬᲚᲘ)

დამდგმელი რეჟისორია სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ბონდარჩუკი.

„ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ“

დამდგმელი რეჟისორია სსრ კავშირის სახალხო არტისტი ხ. გერასიმოვი.

ამავე კინოთეატრში გაიმართება შეხვედრები ფილმების ავტორებთან.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: კადრები კინოფილმიდან „ომი და მშვიდობა“.